საქართველოს პროკურატურის

გენდერული თანასწორობის 2022-2027 წლების სტრატეგია

სარჩევი

1. შესავალი 3
2. სიტუაციის ანალიზი 5
3. სტრატეგიის ხედვა 7
4. სტრატეგიის მიზნები 8
5. სტრატეგიის ამოცანები 8
6. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება და მონიტორინგი 11
7. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები 11

1. შესავალი

საქართველოს პროკურატურა დამოუკიდებელი ორგანოა, რომლის საქმიანობაც ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს. პროკურატურის ფუნქციები, ამოცანები და საქმიანობის პრინციპები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, საქართველოს პროკურატურა უზრუნველყოფს სისხლის სამართლებრივ დევნას და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, ატარებს გამოძიებას სრული მოცულობით, უფლებამოსილების ფარგლებში ზედამხედველობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, რეაგირებას ახდენს თავისუფლებააღკვეთილ და თავისუფლება შეზღუდულ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე, კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და დანაშაულის პრევენციას.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ზემოაღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად, პროკურატურა ახორციელებს თავის საქმიანობას კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით, ობიექტურად და მიუკერძოებლად.

გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება, გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება ორგანიზაციის პოლიტიკასა და საქმიანობაში საქართველოს პროკურატურის მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია. აღნიშნული პრიორიტეტების გათვალისწინებით, გენდერული საკითხების ეფექტიანი მეინსტრიმინგისთვის, საქართველოს პროკურატურამ შეიმუშავა გენდერული თანასწორობის წინამდებარე სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმები ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ქალისა და კაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, ითვალისწინებს საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს და საქართველოს მთავრობის პოლიტიკას გენდერული თანასწორობის სფეროში. გენდერული თანასწორობის სტრატეგია ეფუძნება:

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიას;
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციას (CEDAW), მის დამატებით ოქმებსა და ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგად რეკომენდაციებს;
- პეკინის დეკლარაციასა და სამოქმედო პლატფორმას;
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას (სტამბოლის კონვენციას);
- გაეროს მდგრადი განვითარების გლობალურ დღის წესრიგს;
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისს კონვენციებს.

სტრატეგია ასევე, ემყარება საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას, მათ შორის:
- საქართველოს კანონს „გენდერული თანასწორობის შესახებ“;
- საქართველოს კანონს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“;
- საქართველოს კანონს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.

გენდერული თანასწორობის სტრატეგია საქართველოს პროკურატურის სისტემური რეფორმირების პროცესის შემადგენელი ნაწილია და ეფუძნება გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ქალისა და კაცის თანაბარი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის, ამ უფლებათა რეალიზებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის პრინციპებს. გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმები ასახავენ საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიასა და სტრატეგიულ მიზნებს, ხელმძღვანელობენ 2021 წელს საქართველოს პროკურატურის მიერ გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელებული თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის დასკვნებითა და რეკომენდაციებით, ითვალისწინებენ გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საერთაშორისო ინსტრუმენტებს, სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკებს.

გენდერული თანასწორობის სტრატეგია თანხვედრაშია საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიასთან, განსაზღვრავს საქართველოს პროკურატურის პრიორიტეტებს, მიზნებსა და ამოცანებს იდენტიფიცირებული საკითხების

გადასაჭრელად, აყალიბებს მიდგომებს დასახული მიზნების/ამოცანების განსახორციელებლად და შედეგების ინდიკატორებს პროგრესის შესაფასებლად. გენდერული თანასწორობის სტრატეგიის თანამდევი სამოქმედო გეგმები განსაზღვრავენ პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად კონკრეტულ საქმიანობებს და მათი შესრულების ვადებს.

სტრატეგია შემუშავდა 2022 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.

2. სიტუაციის ანალიზი

გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალისა და კაცის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, საქართველოს სახელმწიფოს მიერ დასახულ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი, თანასწორობის უფლებას უზრუნველყოფს ყველა ადამიანისთვის განურჩევლად სქესისა, რასისა თუ ნებისმიერი სხვა ნიშნისა. ამავე დროს, კონსტიტუცია ადგენს არსებითი თანასწორობის სტანდარტს ქალსა და კაცს შორის დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით. კონსტიტუციის მე-11 მუხლის ფორმულირება გულისხმობს, რომ სახელმწიფო ვალდებულია შეიმუშაოს და განახორციელოს სპეციალური ზომები - პოლიტიკა, გეგმები და პროგრამები ქალებსა და კაცებს შორის არსებული უთანასწორობის ამოსაფხვრელად ყველა სფეროში[1].

საქართველოს გენდერული თანასწორობის მიღწევის და ქალისა და კაცის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის არაერთი საერთაშორისო ვალდებულება აქვს აღებული. მათ შორისაა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით (CEDAW), პეკინის დეკლარაციითა და სამოქმედო პლატფორმით (BPfA), ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციითა (სტამბოლის კონვენცია) და სხვა ინსტრუმენტებით განსაზღვრული საერთაშორისო ვალდებულებები.

[1] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11 (3): „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.“

პეკინის დეკლარაცია და მისი სამოქმედო პლატფორმა, უპირველეს ყოვლისა, ქალთა გაძლიერებაზე ორიენტირებული გეგმა და დღის წესრიგია. პლატფორმის მიზანია აღმოიფხვრას ყველა დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის ქალების აქტიურ ჩართულობას ცხოვრების ყველა სფეროში. იგი ავალდებულებს მხარეებს შეიმუშაონ დასაქმებისა და შრომის პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ქალთა გაძლიერებას, უზრუნველყონ ქალთა სრული და თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განახორციელონ ქალთა შესაძლებლობების განსავითარებელი საქმიანობა, უზრუნველყონ სექსუალური შევიწროებისა და სხვა ტიპის დისკრიმინაციის აღმოფხვრა სამუშაო ადგილზე, მოახდინონ გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება პოლიტიკასა და პროგრამებში, განახორციელონ ინტეგრირებული ღონისძიებები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისთვის.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია (CEDAW) ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს აღკვეთონ ქალთა მიმართ დისკრიმინაცია და უზრუნველყონ ქალებისა და კაცებისათვის თანასწორი უფლება ისარგებლონ ყველა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებით. კონვენცია (მუხლი 7) ადგენს რომ: „...მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად“ და უზრუნველყოფენ, რომ ქალები ისეთივე თანაბარ მონაწილეობას მიიღებენ მთავრობის პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაში და დაიკავებენ სახელმწიფო თანამდებობებს და ჩართულნი იქნებიან სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე, როგორც კაცები. კონვენციის მე-11 მუხლი ადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ დასაქმების დარგში ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა კაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ თანაბარი უფლებები. კონვენციის ზოგადი რეკომენდაცია N19 ეთმობა გენდერული ძალადობას, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს ქალთა შესაძლებლობას კაცების მსგავსად სრულად ისარგებლონ ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით. კონვენციის ზოგადი რეკომენდაცია N35 კი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს გააუმჯობესონ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის აღმოფხვრის ვალდებულებების შესრულება აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო დონეზე. ასევე, ავალდებულებს მათ, მიიღონ ზომები პრევენციის, დაცვის, სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯის, დარღვეული უფლებების აღდგენის, მონაცემთა შეგროვების, მონიტორინგისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროებში ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის აღმოფხვრის დასაჩქარებლად.

“ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ” ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია) მოუწოდებს სახელმწიფოებს, დაიცვან ქალები ძალადობის ყველა ფორმისაგან, ხელი შეუწყონ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას და ქალებსა და მამაკაცებს შორის რეალური თანასწორუფლებიანობის ჩამოყალიბებას,

შეიმუშაონ კომპლექსური ზომები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად. სტამბოლის კონვენციის სტანდარტები მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფენ. მისი პრინციპები კი იმ შემთხვევებზეც ვრცელდება, რომლებიც უშუალოდ ქალთა ძალადობას არ უკავშირდება, როგორიცაა დასაქმება და საოჯახო სფერო.

საქართველოს პროკურატურის მიერ გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას წინ უძღოდა თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი, რომლის ფარგლებში ექსპერტებმა შეაფასეს, რამდენად პასუხობს საქართველოს პროკურატურის საქმიანობა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ ქვეყნის საერთაშორისო და ეროვნულ ვალდებულებებს, ესადაგება საერთაშორისო სტანდარტებს, ავლენს მნიშვნელოვან გამოწვევებსა და შეიმუშავებს გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებისკენ მიმართულ რეკომენდაციებს.

გენდერული სტერეოტიპების დაძლევა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება; სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების რეგულარული შეგროვება, ანალიზი და გავრცელება; მონაცემების შეგროვების ერთიანი სტანდარტების დანერგვა მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკისა და ინიციატივების შემუშავებისთვის; გენდერულად მგრძნობიარე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავება; სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის დანერგვა და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება, რათა შეიქმნას დისკრიმინაციის ამ ფორმისაგან თავისუფალი, უსაფრთხო და ღირსეული სამუშაო გარემო; საჭიროებების ანალიზზე დაფუძნებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სასწავლო პროგრამების ინიცირება და მათში გენდერის საკითხების ასახვა - ეს იმ რეკომენდაციების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის ანგარიშში საქართველოს პროკურატურისთვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განსახორციელებლად განისაზღვრა.

3. სტრატეგიის ხედვა

სტრატეგიის ხედვა არის გენდერულად მგრძნობიარე და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს ხელშეწყობა, ქალებისა და კაცების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ისარგებლონ კონსტიტუციით მინიჭებული ყველა უფლებით და გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელება.

4. სტრატეგიის მიზნები

საქართველოს პროკურატურის გენდერული თანასწორობის სტრატეგია ორი სტრატეგიული მიზნისგან შედგება:

1. **საქართველოს პროკურატურაში თანასწორი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა;**
2. **საქართველოს პროკურატურაში ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელება.**

სტრატეგიული მიზნები სრულ თანხვედრაშია გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების საკითხებზე ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების, პრინციპების და სტანდარტების მოთხოვნებთან, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნების გლობალურ დღის წესრიგთან, კერძოდ, **მიზანი 5:** გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალთა გაძლიერება და **მიზანი 16:** მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.

5. სტრატეგიის ამოცანები

ამოცანა 1.1 საქართველოს პროკურატურაში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმებისა და პოლიტიკის გაძლიერება

გენდერული საკითხების წარმატებული მეინსტრიმინგისთვის და გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების ეფექტიანი შესრულებისთვის, მნიშვნელოვანია ფუნქციური ინსტიტუციური მექანიზმების არსებობა. პოლიტიკაზე, პროცესებზე და შედეგებზე ორიენტირებული ინსტიტუციური მექანიზმი უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობასა და ქალთა გაძლიერებისკენ მიმართული ზომების, საქმიანობებისა და პროექტების ერთობლიობას, გენდერული მეინსტრიმინგის ზომების კოორდინაციას, განხორციელებას, მათ მონიტორინგსა და შეფასებას.

პრიორიტეტულია საუკეთესო პრაქტიკებზე და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით დანერგილი სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება, რათა შეიქმნას დისკრიმინაციის ამ ფორმისაგან თავისუფალი, უსაფრთხო და ღირსეული სამუშაო გარემო.

ამოცანა 1.2 საქართველოს პროკურატურაში დასაქმებულ ქალთა გაძლიერება და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ქალებისა და კაცებისათვის

სამუშაო ადგილზე ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია და შევიწროება მიუღებელია, იქნება ეს კადრების შერჩევისას, შრომითი ურთიერთობებისას თუ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის განხორციელებისას. პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაციის (გამოხატული უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან უარყოფით) პრევენციისთვის საქართველოს პროკურატურა განიხილავს და შეიმუშავებს ინიციატივებს, რომლებიც მიმართული იქნება თანასწორი შესაძლებლობების შექმნაზე, არსებითი თანასწორობის მიღწევაზე და ხელს შეუწყობს თანასწორი უფლებებით რეალურ სარგებლობას.

თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველმყოფი გარემოს შესაქმნელად საქართველოს პროკურატურა შეიმუშავებს გენდერულად მგრძნობიარე ორგანიზაციულ პოლიტიკას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საჭიროებების ანალიზზე დაფუძნებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და სასწავლო პროგრამებში პროკურატურის თანამშრომელთა ჩართულობას.

ამოცანა 1.3 საქართველოს პროკურატურაში სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების წარმოების და ანალიზის გაუმჯობესება, გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის დაგეგმვისა და შეფასებისთვის

სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების შეგროვება და ანალიზი გენდერული თანასწორობის მიღწევაზე ორიენტირებული პოლიტიკისა და ინიციატივების აქტუალურობის და წარმატების განმაპირობებელი ფაქტორია. მნიშვნელოვანია საქართველოს პროკურატურაში ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამის შექმნა, მონაცემთა შეგროვების ერთიანი მიდგომების და მეთოდოლოგიის შემუშავება, სქესის მიხედვით სეგრეგირებულ მონაცემთა რეგულარული შეგროვება და ანალიზი, რაც გაადვილებს მიმდინარე მდგომარეობის, გამოწვევების და პროგრესის შეფასებას და ასევე, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკისა და ინიციატივების შემუშავებას.

ამოცანა 2.1 საქართველოს პროკურატურაში გენდერულად მგრძნობიარე საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობის განხორციელება

საქართველოს პროკურატურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მაღალი სტანდარტების საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობის განხორციელებას, რაც მართლმსაჯულების ეფექტიანი აღსრულების წინაპირობაა. საქართველოს პროკურატურა გაატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის, გენდერულ საკითხებზე პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, გენდერული ძალადობის, ოჯახური და სქესობრივი დანაშაულის საკითხებზე სპეციალიზებული თანამშრომლების გადასამზადებლად, ერთგვაროვანი საპროკურორო პრაქტიკის დასანერგად, მართლმსაჯულების სისტემაში გენდერული სტერეოტიპების და დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად და პრევენციისთვის.

ამოცანა 2.2 გენდერულად მოტივირებული დანაშაულის პრევენციის ხელშეწყობა

ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახური დანაშაულის, სქესობრივი დანაშაულის, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის პრევენციის და აღმოფხვრის მიზნით, დაიგეგმება და განხორციელდება საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები.

ამოცანა 2.3 კოორდინაციის გაუმჯობესება საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით

ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან ასაცილებლად და მის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია კომპლექსური და კოორდინირებული პოლიტიკისა და ღონისძიებების გატარება. ამისათვის საქართველოს პროკურატურა გააღრმავებს თანამშრომლობას საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან და მის წევრებთან.

ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან ასაცილებლად და მის აღმოსაფხვრელად ეფექტიანი ღონისძიებების დაგეგმვისათვის დაინერგება სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა-სტანდარტიზაცია სტამბოლის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად და მათი ანალიზი. შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეეწყობა მონაცემთა შეგროვების ერთიანი მიდგომების შემუშავებას მართლმსაჯულების სისტემაში შემავალ ინსტიტუტებს შორის.

6. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება და მონიტორინგი

გენდერული თანასწორობის სტრატეგიით დასახული მიზნების და ამოცანების მისაღწევად საქართველოს პროკურატურა უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის თანამდევი სამოქმედო გეგმების შესრულებას.

გენდერული თანასწორობის სტრატეგიის ხანგრძლივობა განისაზღვრება ექვსი წლით, ხოლო სტრატეგიის საფუძველზე შემუშავდება ორი თანმდევი სამოქმედო გეგმა - 2022-2024 და 2025-2027 წლებისათვის. სტრატეგიას დანართის სახით ახლავს საქართველოს პროკურატურის გენდერული თანასწორობის 2022 – 2024 წლების სამოქმედო გეგმა.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შესრულებას და მონიტორინგს უზრუნველყოფს გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც რეგულარულად შეაფასებს სამოქმედო გეგმების შესრულების მდგომარეობასა და დასახულ ღონისძიებათა ქმედითობას.

სამ წელიწადში ერთხელ მოხდება გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შესრულების შეფასება, რათა დადგინდეს პროგრესი, საჭიროების შემთხვევაში გადაიხედოს სტრატეგია და შედეგების გათვალისწინებით, დაიგეგმოს შემდგომი წლების სამოქმედო გეგმა.

გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დაფინანსების წყარო იქნება როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო სახსრები, ასევე ინსტიტუციური და სხვა რესურსები.

7. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

წინამდებარე სტრატეგია გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის მიერ დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს გენერალურ პროკურორს.

გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფი ყოველწლიურად, არაუგვიანეს 31 იანვრისა ამზადებს გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის წინა წლის შესრულების ანგარიშს. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში წარედგინება საქართველოს გენერალურ პროკურორს და გამოქვეყნდება საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

წინამდებარე სტრატეგია, ასევე თანდართული სამოქმედო გეგმები ეგზავნება საქართველოს პროკურატურის სტრუქტურულ დანაყოფებს, ამავდროულად, განთავსდება საჯაროდ, პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.